გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

09 ნოემბერი 2023

N 2-842

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „გრინ ვეი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, შესახებ

2023 წლის 6 ნოემბერს სამინისტროს მომართა შპს „გრინ ვეი“-მ და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობით:

- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) - 18530 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) - 4520კგ;
- R507A (HFC-143a/HFC-125) - 2260კგ;
- R407C (HFC-32/HFC-125/HFC-134a) – 2260კგ;
- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) - 8840 კგ;
- დიფთორმეთანი (HFC-32) – 750 კგ;

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „გრინ ვეი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 444549696) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (#000009) შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტისათვის შესაბამისი ოდენობით:

   - R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) - 18530 კგ;
   - R410A (HFC-32/HFC-125) - 4520კგ;
   - R507A (HFC-143a/HFC-125) - 2260კგ;
   - R407C (HFC-32/HFC-125/HFC-134a) – 2260კგ;
   - 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) - 8840 კგ;
   - დიფთორმეთანი (HFC-32) – 750 კგ;

2. ნებართვა ძალაშია 2024 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით;

3. შპს „გრინ ვეი“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გრინ ვეი “-ს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრინ ვეი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი